
ყოველდღიური საქმიანობების მნიშვნელობა - ქრონიკულ ფსიქიკური
აშლილობის მქონე პირთა და პროფესიონალთა პერსპექტივა

თეონა დარჩია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ზავრადაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა დარჩია

თარიღი: 16 ივნისი 2017 წელი

აბსტრაქტი

საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვა და ასევე საქართველოში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშები მიუთითებენ, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები არ არიან ჩართულნი მათთვის მნიშვნელოვან ყოველდღიურ საქმიანობებში, ერთი ჩვეულებრივი დღე არ არის დაგეგმილი და სტრუქტურირებული, არსებული სერვისები ძირითადად დაფუძნებულია სამედიცინო მოდელზე და ნაკლები ყურადღება ექცევა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

ნაშრომის ფარგლებში შევისწავლით ყოველდღიური საქმიანობების მნიშვნელოვნებას, როგორც ქრონიკულ ფსიქიკური აშლილობების მქონე პირთა, ისე პროფესიონალთა პერსპექტივიდან.

კვლევა ჩატარდა აკად.ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ბაზაზე მყოფმა ქრონიკული ფსიქიკური აშლილობის მქონე დიაგნოზის მქონე ოცმა პაციენტმა და ასევე ცენტრის ოცმა თანამშრომელმა, ჯამში 40 მონაწილე.

საქმიანობების მნიშვნელოვნების საკვლევად გამოყენებული იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი, COPM - ის (ოკუპაციური პერფორმანსის კანადური საზომი) საფუძველზე შედგენილი ადაპტირებული კითხვარი.

კვლევის შედეგების მიხედვით როგორც პაციენტთათვის, ისე პროფესიონალებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობებს შორის პირველ ადგილზე იყო თვითმოვლის, მეორე ადგილზე პროდუქტიული, ხოლო მესამე ადგილზე დასვენების საქმიანობები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ყოველდღიური საქმიანობები, საქმიანობების მნიშვნელოვნება.

Abstract

Overview of international literature and monitoring reports of Georgian psychiatric institutions indicate that people with mental disorders are not involved in important everyday occupations, one common day is not planned and structured, existing services are based on medical model and less attention is paid to psycho-social rehabilitation.

Within framework of the study we examined the importance of everyday occupations from perspective of persons with chronic mental disorders and as well from professionals' perspective.

The research was conducted at Academician B. Naneishvili Named Mental Health National Centre. In research being involved 20 patients with chronic mental health disorder and also 20 specialists of Mental Health National Center, total 40 participants.

We used face-to-face interview method, which was adapted questionnaire based on COPM (Occupational Performance Canadian Measure) for investigation importance of occupations. According to results of the research, for patients as well for professionals, the most important occupations were concerning selfcare, then productive occupations, and finally leisure occupations.

Key Words: Everyday Occupations, Importance of Occupations

მადლობა

მადლობა აკად. ბ. ნანეიშვილისი სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, კვლევაში მონაწილე ყველა პირს გაწეული დახმარებისთვის და კვლევის მიმართ მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ნანა ზავრადაშვილს გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.